

შპს „Portal“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**ფინანსური ანგარიშგება**

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1.	კორპორატიული ინფორმაცია	5
2.	მომზადების საფუძველი	5
3.	წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია	5
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
5.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
6.	ამონაგები რეალიზაციიდან	11
7.	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11
8.	სხვა საოპერაციო შემოსავალი	11
9.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	12
10.	სხვა საოპერაციო ხარჯი	12
11.	ფინანსური ხარჯი	12
12.	ძირითადი საშუალებები	13
13.	საინვესტიციო ქონება	14
14.	სასაქონლო მატერიალური მარაგები	15
15.	სავაჭრო მოთხოვნები და ავანსები	15
16.	გაცემული სესხები	15
17.	ფული და ფულის ექვივალენტები	15
18.	კაპიტალი	16
19.	გადასახადები	16
20.	მიღებული სესხები	16
21.	სავაჭრო ვალდებულებები	17
22.	პირობითი ვალდებულებები	17
23.	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
24.	შეწყვეტილი ოპერაციები	18
25.	ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	18

მმართველობის ანგარიშგება

1.	ინფორმაცია კომპანიის შესახებ	20
2.	ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	20
3.	სუბიექტის განვითარების გეგმები	22
4.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	22
5.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	22
6.	წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	22
7.	ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „Portal“-ის ხელმძღვანელობას და მეწილეებს

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს Portal-ის (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები, რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის; და
- ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 19-24 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი

- უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
 - ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
 - გამოგვაქვს დასკვნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

გიორგი ხუციშვილი (რეგ #SARAS-A-520853)

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო.

- უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
 - ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
 - გამოგვაქვს დასკვნა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე. ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნა ეფუძნება დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
 - ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით: #SARAS-F-344896

გიორგი ხუციშვილი (რეგ #SARAS-A-520859)

22 სექტემბერი, 2020

თბილისი, საქართველო.



მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	6	186,369	139,415
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(179,542)	(135,675)
საერთო მოგება		6,827	3,740
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	1,191	874
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(3,152)	(1,375)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(3)	(63)
საოპერაციო მოგება		4,863	3,176
ფინანსური ხარჯი	11	(477)	(527)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		17	-
საკუროსო ზარალი		(53)	(50)
მოგება გადასახადების გადახდამდე		4,350	2,599
მოგების გადასახადის ხარჯი		(544)	(44)
წლის სრული შემოსავალი		3,806	2,555

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 22 სექტემბერს:

ნოდარ ხუბაშვილი
დირექტორი

ინფორმაცია შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ 24-ე შენიშვნაში.

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები რეალიზაციიდან	6	186,369	139,415
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(179,542)	(135,675)
საერთო მოგება		6,827	3,740
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	1,191	874
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(3,152)	(1,375)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(3)	(63)
საოპერაციო მოგება		4,863	3,176
ფინანსური ხარჯი	11	(477)	(527)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		17	-
საკურსო ზარალი		(53)	(50)
მოგება გადასახადების გადახდამდე		4,350	2,599
მოგების გადასახადის ხარჯი		(544)	(44)
წლის სრული შემოსავალი		3,806	2,555

ნოდარ ნუბუაშვილი
დირექტორი

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	1,232	3,249
საინვესტიციო ქონება	13	5,147	2,527
არამატერიალური აქტივები		4	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,383	5,782
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	14	36	3,236
სავაჭრო მოთხოვნები	15	99	3,400
გაცემული სესხები	16	3,296	69
სხვა მოკლევადიანი აქტივები	15	41	67
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	-	948
სულ მიმდინარე აქტივები		3,472	7,720
სულ აქტივები		9,855	13,502
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	18	4	299
გაუნაწილებელი მოგება	18	8,003	9,218
სულ კაპიტალი		8,007	9,517
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	19	1,648	2,647
მიღებული სესხები	20	-	667
სავაჭრო ვალდებულებები	21	200	598
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	73
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,848	3,985
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		9,855	13,502

შპს „Portal”

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2018	4	8,223	8,227
გამოცხადებული დივიდენდი	-	(1,560)	(1,560)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	295	-	295
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	2,555	2,555
31 დეკემბერი 2018	299	9,218	9,517
გამოცხადებული დივიდენდი	-	(5,021)	(5,021)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(295)	-	(295)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	3,806	3,806
31 დეკემბერი 2019	4	8,003	8,007

5-18 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტისგან მიღებული ფულადი სახსრები	222,338	160,676
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(187,757)	(133,261)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(283)	(379)
გადახდილი გადასახადები	(24,925)	(17,678)
გადახდილი პროცენტები	(534)	(390)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	8,839	8,968
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების გაყიდვა	105	63
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(898)	(1,200)
გაცემული სესხის უკან დაბრუნება	763	-
გაცემული სესხი	(4,005)	(107)
მიღებული პროცენტები	28	4
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(295)	(268)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობაზე	(4,302)	(1,508)
ფინანსური საქმიანობა		
სესხის დაფარვა	(664)	(5,059)
გადახდილი დივიდენდები	(4,770)	(1,482)
წმინდა ფული გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში	(5,434)	(6,541)
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(897)	919
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	948	222
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(51)	(193)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	-	948

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „Portal“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2013 წლის აპრილში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404989241.

ძირითადი საქმიანობა. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ნავთობპროდუქტების (ბენზინი, დიზელი) შეძენა და საბითუმო რეალიზაცია ცენტრალიზებულად ან მითითებულ მისამართებზე. პროდუქცია კომპანიის მიერ იყიდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

2019 წლის ბოლოს კომპანიამ შეცვალა პროფილი და საქმიანობის ძირითადი მიმართულება გახდა ბენზინგასამართი სადგურების ფლობა და მათი იჯარით გაცემა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამრეკელის ქ., №19. კომპანიის ძირითადი ბაზა და საქმიანობის ადგილი მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოფელ მარტყოფში, ვაზიანში.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

ნოდარ ხუბაშვილი – 50%

შალვა ხუბაშვილი – 50%

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შპს Portal-ის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. როგორც ეს ფინანსური ანგარიშგების 25-ე შენიშვნაშია მოცემული, COVID 19-მა არაპირდაპირი გავლენა იქონია კომპანიის ოპერაციებზე. მენეჯმენტმა და დამფუძნებლებმა შეათანახმეს კრიზისული პერიოდის საპროგნოზო შედეგები, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გადახედილ ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, გაცემული სესხები წინა პერიოდში წარმოდგენილი იყო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლში. ვინაიდან გაცემული სესხების მუხლი წინა წელთან შედარებით წელს წარმოადგენს მატერიალურ მუხლს, მენეჯმენტმა გადაწყვიტა გაცემული სესხები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარედგინა ცალკე მუხლად. წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეკლასიფიკაცირებულია სხვა მოკლევადიანი აქტივებიდან გაცემულ სესხებში და შეადგენს 70 ლარს (0 ლარის ოდენობით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით).

3. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება, გამოცხადებულ დივიდენდთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი, წინა პერიოდში წარმოდგენილი იყო საერთო და ადმინისტრაციული ხარჯის მუხლში. გამოცხადებულ დივიდენდთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი წინა პერიოდთან შედარებით წარმოდგენს მატერიალურ მუხლს, მენეჯმენტმა გადაწყვიტა დივიდენდთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი წარედგინა ცალკე. გამოცხადებულ დივიდენდთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი 2018 წლის პერიოდში რეკლასიფიცირებულია საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებიდან მოგების გადასახადში და შეადგენს 44 ლარს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს

წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალი რისკის მქონე ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**ძირითადი საშუალებები.**

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

• **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესა იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების
	ვადა
მიწა და შენობა ნაგებობები	14-20
ავზები და რეზერვუარები	5-7
მანქანა-დანადგარები	2-6
სატრანსპორტო საშუალებები	2-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
სხვა ძირითადი საშუალებები	5

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, შემდგომი აღირიცხვისთვის ის საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, ფასდება რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით, ძირითადი საშუალებების შემდგომ აღირიცხვაში გამოყენებული პოლიტიკის შესაბამისად. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს 14 დან 20 წლამდე. კომპანიას საინვესტიციო ქონება აღირიცხული აქვს თვითღირებულებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**არამატერიალური აქტივები.**

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	5-10 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღირიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო

კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას,

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

6. ამონაგები რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს ნავთობპროდუქტების საბითუმო რეალიზაციის შედეგად მიღებულ შემოსავალს.

	2019	2018
ამონაგები დიზელის რეალიზაციიდან	121,310	94,266
ამონაგები ბენზინის რეალიზაციიდან (რეგულარი)	51,613	36,864
ამონაგები ბენზინის რეალიზაციიდან (პრემიუმი)	13,446	8,285
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	186,369	139,415

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საწვავის შეძენის ღირებულებას და ტრანსპორტირების ხარჯს.

8. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	1,099	825
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	68	35
სხვა	24	14
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,191	874

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2019	2018
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა *	(1,682)	(57)
ცვეთა და ამორტიზაცია	(495)	(457)
ხელფასის ხარჯი	(327)	(401)
იჯარის ხარჯი	(180)	(155)
ანარიცხი სესხებზე და სხვა მოთხოვნებზე	(160)	-
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(65)	(67)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(61)	(111)
საწვავის ხარჯი	(29)	(25)
დაზღვევის ხარჯი	(27)	(25)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(19)	(21)
სხვა	(107)	(56)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(3,152)	(1,375)

* კომპანიის საგადასახადო ხარჯის ზრდა ძირითადად უკავშირდება საგადასახადო შემოწმების შედეგებს.

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2019	2018
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	(34)
ჯარიმები	(3)	(29)
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	(3)	(63)

11. ფინანსური ხარჯი

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	(467)	(397)
ფიუჩერული კონტრაქტიდან მიღებული ზარალი	-	(111)
სესხის საკომისიო	(10)	(19)
სულ ფინანსური ხარჯი	(477)	(527)

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მიმდინარე მშენებლობა	ავზები და რეზერვუარე ბი	მანქანა- დანადგარები და სხვა აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ძირითადი საშუალებებ ი	სულ
1 იანვარი 2018	1,903	188	1,017	446	8	90	168	3,820
შემოსვლა	74	-	35	67	9	84	129	398
გასვლა	(49)	(188)	-	(7)	(9)	(40)	-	(293)
31 დეკემბერი 2018	1,928	-	1,052	506	8	134	297	3,925
შემოსვლა	14	-	103	-	30	-	4	151
გასვლა	(1,942)	-	-	-	-	(1)	(74)	(2,017)
31 დეკემბერი 2019	-	-	1,155	506	38	133	227	2,059
დაგროვილი ცვეთა								
1 იანვარი 2018	(73)	-	(142)	(35)	(6)	(4)	(35)	(295)
ცვეთა	(91)	-	(155)	(85)	(3)	(21)	(37)	(392)
გასვლა	-	-	-	2	1	8	-	11
31 დეკემბერი 2018	(164)	-	(297)	(118)	(8)	(17)	(72)	(676)
ცვეთა	-	-	(171)	(81)	(5)	(15)	(46)	(318)
გასვლა	164	-	-	-	-	1	2	167
31 დეკემბერი 2019	-	-	(468)	(199)	(13)	(31)	(116)	(827)
ნარჩენი ღირებულება								
31 დეკემბერი 2018	1,764	-	755	388	-	117	225	3,249
31 დეკემბერი 2019	-	-	687	307	25	102	111	1,232

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. საინვესტიციო ქონება

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავტო გასამართი სადგურები	სულ
1 იანვარი 2018	1,158	298	1,456
შემოსვლა	8	1,137	1,145
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	1,166	1,435	2,601
შემოსვლა	-	-	-
მიწა და შენობა-ნაგებობების კატეგორიებიდან გადმოტანილი ქონება	2,954	6	2,960
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	4,120	1,441	5,561
დაგროვილი ცვეთა	-	-	-
1 იანვარი 2018	-	(10)	(10)
ცვეთა	-	(64)	(64)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	(74)	(74)
ცვეთა	(257)	(83)	(340)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(257)	(157)	(414)
ნარჩენი ღირებულება			
31 დეკემბერი 2018	1,166	1,361	2,527
31 დეკემბერი 2019	3,863	1,284	5,147

საანგარიშგებო წლის ბოლოს კომპანიის უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით თიბისი ბანკის მიერ.

აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულება 3,459 ლარს.

2019 წელს კომპანიამ შეიძინა ბენზინგასამართი სადგური რომლის ღირებულება შეადგენს - 444 ლარი.

ბენზინგასამართი სადგურების მშენებლობის მიზნით, კომპანიამ ასევე შეიძინა მიწები ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, თელეთში და სანაპიროს ქუჩაზე ჯამური ღირებულებით - 663 ლარი.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საწვავი	-	3,191
სხვა	36	45
სულ მარაგები	36	3,236

15. სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნა დაკავშირებული საწარმოებიდან	94	-
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	64	3,418
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(59)	(18)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	99	3400
ავანსები	46	54
სხვა მოთხოვნები	11	13
ანარიცხი უიმედო ავანსებზე	(16)	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები და ავანსები, ნეტო	140	3,467

საექვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის ცვლილებები:

	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	(18)	(41)
უიმედო და საექვო ვალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებიდან	(91)	23
უიმედო და საექვო ვალის რეზერვი გაცემული ავანსებიდან	(16)	-
პერიოდის განმავლობაში ჩამოწერილი მოთხოვნები	50	-
ნაშთი წლის ბოლოს	(75)	(18)

16. გაცემული სესხები

2019 წელს კომპანიამ თავის დაკავშირებულ მხარეს, შპს "პორტალ პეტროლეუმ ჯორჯიას" გაუხსნა 5 მილიონი ლირებული საკრედიტო ხაზი. სესხის ვადა განისაზღვრა პირველი ტრანშის მიღებიდან 28.10.2021 წლამდე. საპროცენტო სარგებელი შეადგენს ათვისებული თანხის წლიურ 11.5%-ს.

17. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ბალანსზე არსებული ფული წარმოადგენს ბანკში, მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხას ეროვნულ ვალუტაში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას.

დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნოდარ ხუბაშვილი	50%	50%
შალვა ხუბაშვილი	50%	50%

საწესდებო კაპიტალი 2018 წლის ბოლოს შეადგენდა 299 ლარს.

2019 წლის განმავლობაში მოხდა საწესდებო კაპიტალის შემცირება ფულადი ფორმით 295 ლარით.

კომპანიამ 2019 წელს გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 5,021 ლარის ოდენობით.

19. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

20. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფინანსური დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები	-	667
სულ მოკლევადიანი სესხი	-	667

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ვალდებულებები საწვავის მოწოდებიდან	3	488
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	197	110
სულ სავაჭრო ვალდებულებები	200	598

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

23. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს "პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	94	-

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს "პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	3,269	-

საქონლის და მომსახურების რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
შპს "პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია"	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	18,916	-

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	74	49

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

24. შეწყვეტილი ოპერაციები

კომპანიის ძირითადი საქმიანობა 2019 და 2018 წლების განმავლობაში იყო ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და საბითუმო რეალიზაცია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე. 2019 წლის ბოლოს კომპანიამ შეწყვიტა ზემოთაღნიშნული საქმიანობა შეიცვალა პროფილი და მთლიანად კონცენტრირდა საიჯარო მომსახურებების გაწევაზე სხვადასხვა კომპანიებისთვის. კომპანიას იჯარით აქვს გაცემული მის საკუთრებაში არსებული ბენზინგასამართი სადგურები და ბაზა.

შესაბამისად, მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული შედეგები უმეტესად უკავშირდება შეწყვეტილ ოპერაციებს.

25. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთიდან გავრცელდა ინფორმაცია COVID-19- ის (Coronavirus) შესახებ. წლის ბოლოს უცნობი ვირუსის რამდენიმე შემთხვევა იყო ცნობილი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისათვის. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსის გლობალურმა გავრცელებამ და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც მოიმატა. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ფაქტი და უარყოფითი შედეგები წარმოადგენს არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენას. კომპანიის ბიზნესიდან გამომდინარე პანდემიის პერიოდში კომპანიას არ შეუწყვეტია ფუნქციონირება და შეძლო მომგებიანობის შენარჩუნება 2020 წლის განმავლობაში, ამდენად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, რეპორტის გაცემის თარიღამდე კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 840 ლარის ოდენობის დივიდენდი.

შპს „Portal“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „Portal“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ნოდარ ხუბაშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითადი საქმიანობა 2019 წლის განმავლობაში იყო ნავთობპროდუქტების შესყიდვა, იმპორტი, შენახვა და საბითუმო რეალიზაცია სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ პირებზე. კომპანიის მიერ შეძენილი პროდუქცია იყიდებოდა საქართველოში. ძირითადი გასაყიდი წერტილები იყო კომპანიის ბაზრები თბილისსა და ქუთაისში. კომპანიის ძირითადი ბაზა და საქმიანობის ადგილია გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი, ვაზიანი. აღნიშნული ლოკაცია წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას.

2019 წლის ბოლოს კომპანიამ შეწყვიტა ზემოთაღნიშნული საქმიანობა და მთლიანად კონცენტრირდა საიჯარო მომსახურებების გაწევაზე სხვადასხვა კომპანიებისთვის. კომპანიას იჯარით აქვს გაცემული მის საკუთრებაში არსებული ბენზინგასამართი სადგურები და ბაზა. მისი საქმიანობის ნაწილია ავტოგასამართი სადგურების მშენებლობა, მათი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია;

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2019	2018
შემოსავალი ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან	186,369	139,415
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	1,099	825

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის აღმოსავლეთ რეგიონზე (95%). დასავლეთ საქართველოში მომარაგება ხორციელდება იჯარით აღებული ნავთობტერმინალით (ქ. ქუთაისი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მომარაგება ხორციელდება ცენტრალური 21 მილიონ ლიტრიანი ნავთობტერმინალით (ვაზიანი).

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

პროდუქციის სახეობა	2019	2018	ცვლილება %
დიზელი	121,310	94,266	28.7%
რეგულარი	51,613	36,864	40%
პრემიუმი	13,446	8,285	62.3%
ჯამი	186,369	139,415	33.68%

კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის დირექტორი 2019 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო ნოდარ ხუბაშვილი. კომპანიის დირექტორის დანიშვნის წესი განისაზღვრება წესდების შესაბამისად.

შპს „Portal“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.


2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2019 წლის შემოსავალმა შეადგინა 187,468 ლარი, რაც 2018 წელთან შედარებით 34%-ით მეტია. აღნიშნული ზრდა დიზელის შემთხვევაში ძირითადად გამოწვეულია საწვავზე ფასების ზრდით და არა რეალიზაციის რაოდენობრივი ზრდით. ნავთობპროდუქტების - რეგულარის და პრემიუმის შემთხვევაში ზრდა განპირობებულია როგორც რეალიზაციის რაოდენობის ზრდით, ისე ფასების ზრდითაც.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:

**ძირითადი კოეფიციენტები:**

	2019	2018
სულ შემოსავალი	187,565	140,289
სულ აქტივები	9,855	13,502
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	17	24
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (Quick Ratio)	1.86	1.13
მარაგების ბრუნვა (დღე)	3.33	15.58
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	0.41	1.61
დებიტორების ბრუნვა (დღე)	0.16	7.54
უკუგება კაპიტალზე	47.53%	26.85%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „Portal“-ის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 13-დან 19-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა. ამ მიზნით, მიმდინარე საწარმოო პროცესი ყოველთვის მიმდინარეობს უსაფრთხოების უმაღლესი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

შპს "Portal"-ს ჰყავს 300-მდე პარტნიორი კომპანია, რომელსაც ამარაგებს საწვავით. კომპანიის ძირითადი კლიენტები არიან როგორც მსხვილი კომპანიები ასევე ავტოგასამართი სადგურები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია იღებს სრულ პასუხისმგებლობას საწვავის ხარისხსა და მომსახურებაზე.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

შპს „Portal“- ძირითადი მომწოდებელია რეზიდენტი კომპანია, თუმცა კომპანია მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე, რადგან მენეჯმენტს და დამფუძნებლებს ასევე აქვთ ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელ ნავთობპროდუქტების რეალიზატორებთან, ვისთანაც აკავშირებით თანამშრომლობის გრელვადიანი პერიოდი და ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი არსებული მომწოდებლის ჩანაცვლება.

კომპანიის ავტო-გასამართი სადგურები იჯარით გაცემულია შპს პორტალ+ ზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ ფუნქციონირებას. კომპანიას ასევე იჯარით აქვს გაცემული შპს პორტალის ლოგო, სწორედ აღნიშნული ბრენდის ქვეშ ფუნქციონირებს ავტო-გასამართი სადგურები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

კომპანიამ 2019 გაიარა საგადასახადო შემოწმება, რომელიც მოიცავდა პერიოდს 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 მაისის ჩათვლით.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის საქმიანობა კონცერტირდება ქონების იჯარით გაცემაზე და ორიენტირებულია ამ საქმიანობის გაფართოებაზე. კომპანიის განვითარების გეგმის მიხედვით 2020 წელს მოხდება არსებული ავტოგასამართი სადგურების ნაწილის განახლება-რემონტი. 2019 წელს კომპანიამ შეიძინა ფოთში მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ავტო გასამართი სადგური, რომელიც წლის ბოლოსთვის არ არის გაშვებული ექსპლუატაციაში.

2020 წელს კომპანია გეგმავს დამატებით შეიძინოს და ააშენოს ახალი ავტოგასამართი სადგურები, შემდგომში მათი იჯარით გაცემის მიზნით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
მარაგები	36	3,236	შენიშვნა 1
სავაჭრო მოთხოვნები	99	3400	შენიშვნა 2
საინვესტიციო ქონება	5,147	2,527	შენიშვნა 3
ძირითადი საშუალებები	1,232	3,249	შენიშვნა 3

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)**შენიშვნა #1:**

კომპანიამ საანგარიშგებო წლის განმავლობაში შეწყვიტა მისი ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა,რის გამოც წლის ბოლოს არ აქვს საწვავის ნაშთი, არსებული მარაგი წარმოადგენს სარემონტო მასალებს.

შენიშვნა #2:

სავაჭრო მოთხოვნების შემცირება განპირობებულია იმით, რომ კომპანიამ შეწყვიტა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა, კერძოდ საწვავის იმპორტი და ადგილობრივ მომწოდებლებზე მიყიდვა, შესაბამისად შემცირდა წლის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთიც.

შენიშვნა #3:

კომპანიის საქმიანობა მთლიანად გადავიდა საიჯარო მომსახურებების გაწევაზე, შესაბამისად ძირითადი საშუალებების ნაწილი წლის ბოლოს დაკლასიფიცირდა საინვესტიციო ქონებად და ამის საპირისპიროდ შემცირდა ძირითადი საშუალებების ღირებულება.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,716.9	3,723.5
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,763.5	4,722.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5.10%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.90%	2.60%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,310.80	1,306.30
უმუშევრობის დონე, %	11.60%	12.70%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული ბაზრის მსხვილ მოთამაშეებზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სტაბილურ სავალუტო კურსზე და ეკონომიკურ გარემოზე რაც მნიშვნელოვანი ფაქტორებია კომპანიის არსებული კლიენტებისთვის. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რადგან შესასყიდი საქონლის ღირებულება მიუხედავად იმისა მომწოდებელი არის თუ არა უცხოური კომპანია განისაზღვრება აშშ დოლარში და ლარში აისახება შეთანხმებული კურსის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ საქონლის რეალიზაცია ხორციელდება ლარში კომპანიისთვის სავალუტო რისკი მიჩნეულია მნიშვნელოვან ბიზნეს რისკად და მუდმივად მიდის მუშაობა სავალუტო რისკის ჰეჯირების ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2019 წლის 31 დეკემბერს სესხის ნაშთი 0-ის ტოლია, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 22 სექტემბერს:

ნოდარ ხუბაშვილი
დირექტორი

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ფულისა და ფულადი ექვივალენტების მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, რადგან შესასყიდი საქონლის ღირებულება მიუხედავად იმისა მომწოდებელი არის თუ არა უცხოური კომპანია განისაზღვრება აშშ დოლარში და ლარში აისახება შეთანხმებული კურსის შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ საქონლის რეალიზაცია ხორციელდება ლარში კომპანიისთვის სავალუტო რისკი მიჩნეულია მნიშვნელოვან ბიზნეს რისკად და მუდმივად მიდის მუშაობა სავალუტო რისკის ჰეჯირების ეფექტური მექანიზმების დანერგვაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული ბანკთაშორის რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი. 2019 წლის 31 დეკემბერს სესხის ნაშთი 0-ის ტოლია, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკი არ წარმოადგენს კომპანიისთვის მნიშვნელოვან რისკ ფაქტორს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 22 სექტემბერს:

